პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 185 (7496)
27 1983 წ. სექტემბერი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა

## მიმართვა სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპეციალისტებისადმი

საბჭოთა საქართველო ახალ-ახალი წარმატებებით ხელდამშვენებული ეგებება სახელოვან თარიღს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს. მოპოვებულია მნიშვნელოვანი გამარჯვებები საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და ამ მიღწევებით სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხი. ვამაყობთ აგრეთვე ქართული სპორტის მდიდარი ტრადიციებით; იმ მნიშვნელოვანი, დაუვიწყარი გამარჯვებებით, რომლებიც საქართველოს წარმომადგენლებმა დიდ სპორტულ სარბიელზე — საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ ასპარეზობებში მოიპოვეს.

ამავე დროს, მიუხედავად ბოლოდროინდელი ცალკეული წარმატებებისა, აშკარაა, რომ საქართველოს სპორტსმენებმა სპორტის მეტ რიგ სახეობაში საგრძნობლად დათმეს პოზიციები. ეს თვალნათლივ გამოჩნდა სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე. საქართველოს სპორტული დელეგაციის მიერ მოპოვებული X ადგილი, რა თქმა უნდა, არ შეეფერება ჩვენი რესპუბლიკის ტრადიციებსა და შესაძლებლობებს. სპორტული შედეგების დაქვეითება განსაკუთრებით გვაწუხებს ჩვენ, ქართული სპორტის ვეტერანებს, აწუხებს მთელ საზოგადოებას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის პრესტიჟი.

ცხადია, სპორტში მარტო გამარჯვების გზით არავის უვლია. ცალკეული წარუმატებლობები ყოველთვის იქნება, მაგრამ აუცილებელია გულმოდგინედ შევისწავლოთ მარცხის მიზეზი, მაღალი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საქმეს, თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერისად გარდავქმნათ მთელი ჩვენი საქმიანობა და ყოველი ღონე ვიხმაროთ ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად, იმ ნდობის გასამართლებლად, რომელსაც ხალხი, ქართული სპორტის გულშემატკივრები გვიცხადებენ. ამ საქმეში, ქართული სპორტის მდიდარი ტრადიციების აღორძინებისა და გაძლიერების საქმეში, ჩვენც, ვეტერანებსაც გვმართებს მეტი აქტიურობა. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ საერთოდ თავს ანებებს ამ სფეროს და ფაქტიურად, მაყურებლის როლში გამოდის. არადა, მათ გამოცდილებას, ცოდნას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენი სპორტისათვის. ამიტომ დღეს კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველა ვეტერანს — ბოლომდე დავრჩეთ ქართული სპორტის სამსახურში, ბოლომდე ვუერთგულოთ მას. ამ შემთხვევაში, მხოლოდამხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ, რომ ვალმოხდილები ვართ ჩვენი ხალხის, რესპუბლიკის წინაშე.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენს სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ყურადღება და დახმარება აკლია. პირიქით, ახლა, როგორც არასდროს, პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრებისადმი, ამ ყურადღებას, ამ მხარდაჭერას დაფასება უნდა — თავდაუზოგავი ვარჯიში, მონდომება და შემართება, სპორტული ოსტატობისაკენ, ახალი სპორტული სიმაღლეებისაკენ სწრაფვა.

საქართველოს ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენი ნიჭი, უნარი და მცდელობა უთუოდ გამოიღებს სასურველ შედეგს, თავის გამოჩენის საშუალება კი მრავალგზის გექნებათ. წინ არის საპასუხისმგებლო შეჯიბრებები, დიდი ტურნირები და ჩემპიონატები. იშრომეთ, ივარჯიშეთ, მოემზადეთ, ასახელეთ მშობლიური ხალხი და ქვეყანა!

მიღებულია საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკურ კრებაზე 1983 წლის 24 სექტემბერს.

## სპორტულ ჟურნალისტთა პლენუმი

კიევი. უკრაინის დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პლენუმი. მონაწილეებმა ილაპარაკეს ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა იმ დიდ წვლილზე, რომელიც მათ უნდა შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების პროპაგანდის „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მითითებული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში.

მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორი ვ. გავრილინი. მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური და ადგილობრივი პრესის, მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინის, ლატვიისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კინოს, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა.

ამ დღეებში კიევში მიმდინარე კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა და სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატის საპატიო სტუმარმა, ჭიდაობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის (ფილა) პრეზიდენტმა მილან ერცეგანმა (იუგოსლავია) ჭიდაობის პროპაგანდის საქმეში დიდი წვლილისთვის საპატიო დიპლომები და ფილა-ს სამკერდე ნიშნები გადასცა მთელ რიგ საბჭოთა ჟურნალისტებსა და გამოცემებს.

პლენუმმა სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩია გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორი ვ. გავრილინი.

● სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატი კალათბურთში

## სტარტზე მოპოვებული ქულები

თბილისი. სპორტის სასახლე. 25 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი) 89:88 (88:42).

„დინამო“: კაპუსტინი (10), ბოროდაჩოვი (10), გრძელიძე (8), ბიჭიაშვილი (24), დარსაძე (14), მარჩენკო (2), დერიუგინი (13), მელოვიდოვი (8).

„უნივერსიტეტი“: ბუზლიაკოვი (6), მაისტრენკო, ნაზაროვი (14), შიშკოვი (20), აბელიანოვი (12), გავრილოვი (16), ავდეევი (2), გრებენიკოვი (7), ბილიუშკინი (11).

მსაჯები: ა. გოლინსკი (კალუგა) და ს. კოპიტოვი (კიევი).

ჩემპიონატის პირველივე შეხვედრაში გულშემატკივარიც ანერვიულეს და თვითონაც საკმაოდ ინერვიულეს თბილისის დინამოელებმა. სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩებში იოლი მეტოქე არც ადრე ყოფილა და არც მომავალში იქნება, მაგრამ მასპინძლები თუ ასეთი მძიმე ბრძოლით მიაღწევდნენ „უნივერსიტეტთან“ გამარჯვებას, ალბათ ვერავინ ივარაუდებდა.

მარტო სასტარტო მღელვარებით, ბუნებრივია, ვერ ახსნი იმ დაძაბულობას, რაც მატჩს პირველიდან ბოლო წუთამდე გაჰყვა — მეტოქეც ხომ პირველ მატჩს თამაშობდა. თავისი პოტენციით თბილისის „დინამო“, რა თქმა უნდა, ძლიერია „უნივერსიტეტზე“, მაგრამ მასპინძლებმა რომ იოლ გამარჯვებას ვერ მიაღწიეს, ვფიქრობ, ორმა გარემოებამ განაპირობა.

პირველი დერიუგინის პრობლემაა. თბილისელთა ცენტრი ახლახან დაბრუნდა ნაკრების ტურნედან. საოცარია, მაგრამ ფაქტია — მის ყოველ გაწვევას მთავარ გუნდში სპორტული ფორმის გაუარესება მოსდევს, ყოველ შემთხვევაში თბილისში მობრუნებული დერიუგინი ძველებურად ველარ თამაშობს ხოლმე. ახლა ჩვენი გუნდის მთავარმა იმედმა მორიგი ტურნედან ტრავმაც ჩამოიტანა და მისი მოედანზე გამოსვლა საეჭვოც კი იყო. პირველი ტაიმი „დინამომ“ მის გარეშე ითამაშა, მეორეში კი, როცა გამარჯვება პრობლემატური გახდა, დერიუგინი მხარში ამოუდგა თავისიანებს, თუმცა ეს გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული.



მეორე გარემოება უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა. თითოეული ჩვენებურისთვის ტაშკენტის „უნივერსიტეტთან“ გამარჯვება ფაქტიურად დაგეგმილი იყო. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში ყოფნამ გუნდთან, რომელსაც ვალდებული ხარ მოუგო, სავსებით იოლად შეიძლება წონასწორობიდან გამოგიყვანოს, მით უფრო, როცა მეტოქე, თითქმის უშეცდომოდ თამაშობს. „უნივერსიტეტმა“ კი მართლაც კარგად ითამაშა. განსაკუთრებით ეს მეორე ტაიმის პირველ ათ წუთს ეხება. ამ მონაკვეთში სტუმრებმა ორ-სამჯერ 8 ქულით მოახერხეს დაწინაურება.

ამ ძნელ წუთებში „დინამომ“ მაინც მონახა საამისო ძალა, რომ ჯერ დასწეოდა მეტოქეს, მერე კი (მე-14 წ.) წინაც გასულიყო. თუმცა დაძაბულობა ამის შემდეგაც არ შენელებულა. ჩინებულად თამაშობენ დარსაძე, დერიუგინი, ბიჭიაშვილი, რამდენიმე სახიფათო შეტევა შეაჩერა ბოროდაჩოვმა, მაგრამ მასპინძლებს არც მეტოქე რჩებათ ვალში. თავად განსაჯეთ: მე-14 წ. 75:74, მე-18 წ. 85:84. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე სხვაობა ისევ ერთი ქულა იყო. საბოლოოდ თბილისელებმა მაინც გაიმარჯვეს და მეტად საჭირო ქულაც მოიპოვეს.

როგორც უკვე ვთქვით, ის, რომ მასპინძლებს ძალზე გაუჭირდათ, რამდენიმე ობიექტურმა მიზეზმა განაპირობა და ამდენად ამ ჭირველი, მით უმეტეს, კეთილად დასრულებული მატჩის შემდეგ

• (დასასრული მე-3 გვ.).

• • •

სურათებზე: სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი; მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-ს შეხვედრის მომენტი; მეტოქის კალათს უტევს გივი ბიჭიაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა XXII ჩემპიონატი

## „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში

გუშინ ჩატარდა ხელბურთელ ვაჟთა მორიგი ჩემპიონატის პირველი მატჩები. ასპარეზობის საზეიმო გახსნის შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ცსკა-ს გუნდები. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონებმა, არმიელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება და გაიმარჯვეს — 30:24 (16:12).

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა:

„ცელტნიეკსი“ — „პოლიოტი“ 24:29 (10:15).

ზიი—„გრანიტასი“ 34:30 (18:11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

# კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

**კლასიკური** სტილის მოჭიდავეთა ჩემპიონატის ბოლო, 243-ე შეხვედრაც დამთავრდა. მოსკოველმა მძიმეწონოსანმა ევგენი არტიუხინმა უაღრესად დაძაბული შეხვედრა მოუგო ბულგარელ გოლიათს ნიკოლა დინევს და საბჭოთა გუნდს მეხუთე ოქროს მედალი მოუტანა. შეჯიბრების დასკვნითი დღე უხვმოსავლიანი გამოდგა ჩვენი ნაკრებისთვის — 4 მოჭიდავე იბრძოდა ფინალში და ოთხივემ გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი...

„ოქროს" ანგარიში კი თეიმურაზ აფხაზავამ გახსნა. დიახ, პირველად სწორედ ქართველი ფალავნის გამარჯვების აღსანიშნავად გაისმა სსრ კავშირის ჰიმნი. აფხაზავამ საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ამ ჩემპიონატზე. ისე ოსტატურად მოიგო წინასწარი შეხვედრები, რომ მის საბოლოო გამარჯვებაში არავის ეპარებოდა ეჭვი. ჩვენ განსაკუთრებული ინტერესით ველოდით აფხაზავა-ლუნდელის ფინალურ ორთაბრძოლას, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამართულა — შვედმა მოჭიდავემ ტრავმის გამო ვერ შეძლო სარბიელზე გამოსვლა. ოქროს მედალი ქუთაისელი ფალავნის კუთვნილება გახდა. რა თქმა უნდა, ბედნიერი იყო, რომ მეორედ მოიპოვა ეს ჯილდო, მაგრამ გულწრფელად უკმაყოფილო დარჩა, რომ ფინალი არ შედგა: „საბრძოლველად ვიყავი განწყობილი... ლუნდელი 30-ს გადაცილებულია და შეიძლება აწი მასთან არც მომიწიოს შეხვედრამ. ჩვენ არც აქამდე გვიჭიდავია ერთმანეთთან — ის დაბალ წონაში გამოდიოდა. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ლუნდელი ფინალში გავიდოდა. მის ქვეჯგუფში უფრო ძლიერებიც იყვნენ — ჩრაიკა, მალინა... მაგრამ, ეტყობა, ისინი კარგად ვერ მოემზადნენ ჩემპიონატისთვის... წინასწარ ტურნირებში მაინცდამაინც არ გამიჭირვებია, მხოლოდ ამერიკელ ჩანდლერს ვერ მოვუგე კარგად. ჩემი ბრალი იყო, 7:0-ს ვიგებდი და მოვდუნდი, თანაც ხალიჩას უხერხულად დავარტყი თავი. ამით ისარგებლა მეტოქემ, თითქმის წამომეწია კიდეც, მაგრამ ყველაფერი მაინც კარგად დამთავრდა".

ორი დიდი გამარჯვება მოიპოვა მოკლე ხანში აფხაზავამ — აპრილში ევროპის ჩემპიონობა, ახლა — მსოფლიოსი. სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატზე უნდა გამგზავრებულიყო ყაზარაშვილიც, მაგრამ ზედ სტარტის წინ ავად გახდა, შემდეგ რამდენიმე თვეს არ უვარჯიშია და, ცხადია, ბოლომდე ვერ აღიდგინა სპორტული ფორმა. ყაზარაშვილმა კიევში სულ სამი შეხვედრა ჩაატარა, პირველი წმინდად მოიგო, მაგრამ II წრეში გადაელობა ბრატან ცენოვი, 19 წლის ბულგარელი მოჭიდავე, რომელმაც ფინალიც მოიგო და პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ყაზარაშვილმა ბოლო შანსი ხელიდან არ გაუშვა, წუთსა და 27 წამში დაამარცხა იაპონელი სასაკი და „ბრინჯაო" მოიპოვა.

სხვადასხვაგვარია ჩემპიონობისაკენ მიმავალი გზა. უძლიერესთა შორის ადგილის დასამკვიდრებლად ზოგს წლები სჭირდება, ზოგიერთები კი ერთბაშად იპყრობენ დიდ სიმაღლეებს. მიხეილ მამიაშვილი ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის. ერთ წელიწადში მან იმდენი გააკეთა, რასაც ბევრი მთელი სპორტული კარიერის მანძილზე ვერ აზერხებს: შარშან შემოდგომაზე მან იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, წლეულს — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. და აი, კიევში ნამდვილი სიურპრიზი შემოგვთავაზა — მსოფლიოს უძლიერეს ათლეტებთან დავაში გამარჯვებული გამოვიდა და ოქროს მედალი მოიპოვა. მამიაშვილმა წინასწარი შეხვედრებიც ისევე დამაჯერებლად მოიგო, როგორც ფინალური. არადა, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მეტოქედ აღიარებული ფალავანი ჰყავდა — მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი, პოლონელი ანჯეი სუპრონი. ამ შეხვედრის წინ ყველაზე თავშეკავებული სპეციალისტისთვისაც რომ ვკითხათ, უპირატესობას ალბათ სუპრონს მიანიჭებდა, რომელიც ასევე ჩინებულად ჭიდაობდა წინასწარ ტურნირებში და ასე ძალიან უნდოდა მესამედ გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონი. პოლონელი მოჭიდავე აშკარად თავისდაჯერებული გამოვიდა ხალიჩაზე, მაგრამ შეცდა: დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ მამიაშვილი არაფერს დაუთმობდა ტიტულოვან მეტოქეს. ჩვენმა ფალავანმა ენერგიულად, მაღალ ტემპში ჩაატარა მთელი შეხვედრა, 5 მომგებიანი ქულა აართვა მეტოქეს და ღირსეულად დაიკავა ადგილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

საღამოს პრესკონფერენციაზე ჩვენი ჩემპიონი აუჩქარებლად პასუხობდა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

— ჩვენ კარგად ვნახეთ, როგორ ჭიდაობს მიხეილ მამიაშვილი, მაგრამ ბევრი არაფერი ვიცით მის შესახებ.

— უკრაინაში, ქალაქ კონოტოპში დავიბადე, ნოემბერში 20 შემისრულდება, მამაჩემი ქართველია, დედა — უკრაინელი. ახლა მოსკოვში ვცხოვრობთ. სამხედრო სამსახურსაც იქვე გავდივარ. 6 წელიწადია ვჭიდაობ, ჯერ ალექსანდრე ეფრემოვი მავარჯიშებდა, ახლა — ნიკოლოზ ესინი.

— უკრაინული თუ იცით?

— როგორ არა.

— ქართული?

— არა, მაგრამ უთუოდ ვისწავლი. მალე საქართველოში გავემგზავრები, ხაშურსა და თბილისში ბევრი ნათესავი მყავს.

— ვისთან მეგობრობთ ნაკრებში?

— მეგობარი ბევრი მყავს, განსაკუთრებით ახლოს ვარ აფხაზავასთან, ყაზარაშვილთან და არტიუხინთან. ამ უკანასკნელმა ჭიდაობის ბევრ საიდუმლოს მაზიარა.

— თავიდანვე ჩემპიონობას უმიზნებდით?

— რა თქმა უნდა, აბა სხვაგვარად რა აზრი აქვს ხალიჩაზე გამოსვლას? ვიცოდი, რომ წინ მძიმე ბრძოლა მელოდა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ შემეძლო კონკურენტების დამარცხება. ქვეჯგუფში ყველაზე ძლიერი დასავლეთგერმანელი ჰელდინგი გამოდგა. განსაკუთრებით ძნელი კი, ბუნებრივია, ფინალი იყო. მე დიდად ვაფასებ სუპრონის ოსტატობას, მაგრამ ნამდვილად არ შემშინებია. მწვრთნელებთან ერთად თითქმის ყველაფერი გამოვითვალე — როდის რა უნდა გამეკეთებინა. პატარა სიურპრიზიც მოვამზადე — მკერდიდან გდება აქამდე არასოდეს გამიკეთებია და, ეტყობა, არც სუპრონი ელოდა. სწორედ ამ ილეთმა მომიტანა ის 4 ქულა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

პრესკონფერენციის შემდეგ იქვე დაგვირიგეს ჩემპიონატის საბოლოო ტექნიკური შედეგები. სატურნირო ცხრილის პირველი სტრიქონი სსრ კავშირის ნაკრებს უჭირავს — 5 „ოქრო", 1 „ვერცხლი", 3 „ბრინჯაო" — ასეთია მასპინძელთა ნადავლი. ერთადერთი, ვინც მედალი ვერ მოიპოვა, რაფაილ ნასიბულოვი (62 კგ) იყო. გუნდური II ადგილი ბულგარელებმა დაიკავეს (2 „ოქრო", 2 „ვერცხლი", 3 „ბრინჯაო"), III — ფინელებმა (2 „ოქრო", 1 „ბრინჯაო").

— ჩემპიონატი ძალზე საინტერესო გამოდგა, — ამბობს სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი გენადი საპუნოვი. — ჩვენ ძირითადად შევასრულეთ ამოცანა, მაგრამ ნაკრების ზოგიერთი წევრის გამოსვლით მაინც უკმაყოფილო ვარ. მაგალითად, სხვებთან ერთად დიდ იმედს ვამყარებდი ყაზარაშვილზე, ერმილოვზე, ავდიშევზე. ამ მოჭიდავეებმა III ადგილები კი დაიკავეს, მაგრამ ეს შედეგი არ შეესაბამება მათს შესაძლებლობებს. მთავარი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ სპარტაკიადის დაძაბული ტურნირის შემდეგ ვერ მოასწრეს ძალების აღდგენა, უფრო სწორად, სპარტაკიადასა და ჩემპიონატს შორის მცირე დრო იყო და ეს ადრევე უნდა გაგვეთვალისწინებინა... ჩვენს მთავარ კონკურენტად, რა თქმა უნდა, კვლავ ბულგარეთის ნაკრები რჩება. ბულგარელებმა, როგორც ყოველთვის, საინტერესო მოჭიდავეები ჩამოიყვანეს ჩემპიონატზე, გაგვაოცეს ფინელებმა, რომლებმაც ყველასთვის მოულოდნელად III ადგილი დაიკავეს. ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ კლასიკური ჭიდაობა სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ე. ბერიშვილი,
(„ლელოს" სპეც. კორ.)

კიევი.







**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში თეიმურაზ აფხაზავა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე; აფხაზავა — ბახნამპურის (ირანი) შეხვედრა (მარცხნივ); გდებას ასრულებს მიხეილ მამიაშვილი.**

● ველოსპორტი ● „თბილისის 6 დღე"

# მასპინძელთა უპირატესობით

**ველომრბოლელთა** ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების „თბილისის 6 დღის" მეორე ეტაპზე, პროგრამის ძირითადი სახეობის, წყვილთა რბოლის წინ 24 სექტემბერს ჩატარდა 60 წრეზე ინდივიდუალური რბოლა 15 შუალედური ფინიშით. აქ თავი გამოიჩინა უკრაინელმა სპორტსმენმა ვ. ქდანოვმა. მან, გარდა იმისა, რომ 3 წრის დისტანციური უპირატესობა მოიპოვა, დაგროვილი ქულების რაოდენობითაც (34) საგრძნობლად აჯობა მეტოქეებს. მეორე ადგილზეა პროფკავშირთა ნაკრების წევრი ვ. გრადოვიჩი, რომელსაც 2 წრის დისტანციური უპირატესობა და 9 ქულა ჰქონდა. მესამე ადგილი არმიელი სპორტსმენის ე. სინიცინის კუთვნილება გახდა — 20(1).

100 წრეზე 10 შუალედური ფინიშით წყვილთა რბოლაში კვლავ ის მრბოლელები გამოირჩეოდნენ, რომლებმაც პირველ ეტაპზეც გამოიჩინეს თავი. ესენი იყვნენ ოლიმპიური მომზადების ცენტრის „ივერიის" წყვილი ი. ზიმენკოვ — რ. წაქაძე და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები: პელიპენკო და ა. ოსიპოვი. შეჯიბრების დებულების თანახმად, ყოველ შუალედურ ფინიშთან ყველაზე ადრე მისული ოთხი გუნდი პრემიალურ ქულებს იღებს. ამ რბოლაში კი ყოველი 10 წრის მიწურულს დაწინაურებულთა „კვარტეტში" თითქმის ყოველთვის, მე-16 და მე-8 სპორტსმენები იყვნენ (შესაბამისად ამ ნომრებით ასპარეზობდნენ „ივერიის" და არმიელთა „დუეტები"). 40-კილომეტრიანი დისტანციის შუალედში ზიმენკოვმა და წაქაძემ ზედიზედ მოიგეს მე-5 და მე-6 შუალედური ფინიში და დაწინაურდნენ, მაგრამ მათი უშუალო მეტოქეები, არმიელი სპორტსმენები დანებებას არ აპირებდნენ: ისინი დისტანციის მეორე ნახევარში საგრძნობლად გააქტიურდნენ. ხოლო მე-9 შუალედური ფინიშის მოგების შემდეგ კი რბოლის სათავეში ჩადგნენ. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებულის ბედი უკანასკნელმა, მე-10 შუალედურმა ფინიშმა გადაწყვიტა (აქ, შეჯიბრების წესით, პრემიალური ქულები ორმაგდება), რომელიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიგეს, ხოლო პელიპენკო და ოსიპოვი პირველ ოთხეულშიც ვერ მოხვდნენ.

ამრიგად, ზიმენკოვი და წაქაძე 48 ქულით ასპარეზობის ლიდერები გახდნენ. პელიპენკოს და ოსიპოვს 46 ქულა დაუგროვდათ, ხოლო III-IV ადგილზე მყოფი ო. ვოლიკოვ — ა. აფანასიევის და ვ. გრინკოვსკი — ი. სერდიუკოვის წყვილები მათ საგრძნობლად ჩამორჩნენ. ამ უკანასკნელთ 34-34 ქულა ჰქონდათ.

25 სექტემბერს პროგრამაში კვლავ 100 წრეზე წყვილთა რბოლა იყო 10 შუალედური ფინიშით. წინა, მე-2 ეტაპისაგან განსხვავებით, რბოლა ამჯერად ზიმენკოვის და წაქაძის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა: მათ ხუთი შუალედური ფინიში მოიგეს. მათ გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. „ივერიის" წევრებს რამდენიმე რეალური საფრთხე მხოლოდ ასპარეზობის ბოლოს შეექმნათ, როდესაც პროფკავშირთა ნაკრების წარმომადგენლებმა ი. კუჰმა და ი. გერასიმოვმა ძირითადი ჯგუფიდან გაქცევა სცადეს. ისინი სულ მალე ორასიოდე მეტრით დაწინაურდნენ, მაგრამ ლიდერები ფხიზლობდნენ და „ლტოლვილთა" ძირითადი მიზანი — დისტანციური უპირატესობის მოპოვება განუხორციელებელი დარჩა, თუმცა მათ ორი უკანასკნელი შუალედური ფინიში მოიგეს.

სამი ეტაპის შემდეგ ზიმენკოვის და წაქაძის აქტივში 75 ქულა იყო. ისინი უკვე ხუთი ქულით უსწრებდნენ პელიპენკო — ოსიპოვის წყვილს.

იმდღევანდელი შეჯიბრებ სპრინტერებმა დაასრულეს. საწყის რბოლებში თბილისელმა მ. სურმავამ და ტულელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა რ. პრუგლოვმა იოლი გამარჯვებები მოიპოვეს. გადამწყვეტ ბრძოლაში კი ამ უკანასკნელმა მეტოქეებს ძლიერი ფინიშის წყალობით აჯობა. სურმავას მესამე ადგილი ერგო, თუმცა თითქმის მთელი რბოლის მანძილზე ლიდერობა რომ არ ეტვირთა, ალბათ უკეთეს შედეგს აჩვენებდა.

გ. ჩოჩიშვილი.

# სტარტზე მოპოვებული ქულები

დასასრული

ალბათ მცირე საყვედურის თქმაც არ ღირდა, მაგრამ თბილისელ კალათბურთელთა თამაშმა როგორც მეტოქის, ისე საკუთარ ფარქვეშ იმ დღეს ცუდი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმის პირველ ნახევარში. თუმცა, თვითონ სპორტსმენებმაც სხვაზე ნაკლებად არ იციან საკუთარი ნაკლისა და იმედია, მომავალ მატჩებში თვითონვე შეეცდებიან ხარვეზის აღმოფხვრას.

**ზ. ირემაძე.**

* * *

**გუშინწინ** გაიმართა პირველი ტურის კიდევ ხუთი მატჩი.

**რტი** — ასკ (რიგა) 81:74 (47:34)

**ცსკა** — „დინამო" (მოსკოვი) 88:73 (44:46)

**რიგაში** კაუნასის „ჟალგირისმა" დაამარცხა ვილნიუსის „სტატიბა". 103:97 (52:43), რიგის ვეფ-მა დამატებით დროში გაიმარჯვა ლენინგრადის „სპარტაკთან" შეხვედრაში — 97:95 (44:43, 83:83), კიევის „სტროიტელმა" დაამარცხა თანაქალაქელი არმიელები 88:87 (54:43).

**გუშინ თბილისის „დინამომ" ანგარიშით 96:98 (52:45) დაამარცხა მოსკოველი თანაკლუბელები, რიგის ასკ-მ მოუგო ცსკა-ს 89:86 (43:43), რტი-სა და „უნივერსიტეტის" მატჩში გაიმარჯვეს ტაშკენტელებმა 109:80 (56:39).**

* * *

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები: ასკ — „უნივერსიტეტი", „დინამო" (მოსკოვი) — რტი, ცსკა — „დინამო" (თბილისი)

**29 სექტემბერს:**

ასკ — „დინამო" (მოსკოვი)
ცსკა — „უნივერსიტეტი"
„დინამო" (თბილისი) — რტი

**30 სექტემბერს:**

„უნივერსიტეტი" — „დინამო" (მოსკოვი)
ცსკა — რტი
„დინამო" (თბილისი) — ასკ

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: შეტევაზეა თბილისელი ნ. დერიუგინი.**

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**



# გიწვევთ „ვარსკვლავთა" მატჩზე

**28 სექტემბერს** სსრ კავშირის ჩემპიონატის თბილისის ტურის მონაწილენი ისვენებენ. ამ დღეს სპორტის სასახლეში გაიმართება ძალზე საინტერესო მატჩი კალათბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან კალათბურთის ქართველ ვეტერანთა ნაკრები და გუნდი, რომელიც დაკომპლექტდება მსაჯებისა და თბილისის ტურში მონაწილე გუნდების მწვრთნელებისაგან.

ვეტერანთა გუნდის სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: გლურჯიძე, მინაშვილი, ხაზარაძე, გოგელია, ქლენტი, ჯაფარიძე, სხიერელი, უგრეხელიძე, ჩხიკვაძე, ლომაძე, ბოლქვაძე, საკანდელიძე, ინწკირველი, ასიტაშვილი, მანაგაძე.

მსაჯებისა და მწვრთნელების გუნდში ითამაშებენ: მილოსერდოვი, სელიხოვი (ორივე — ცსკა), კრასნიცკი, შუკშინი (ორივე — რტი), გომელსკი, ქორქია (ორივე — მოსკოვის „დინამო"), მხეიძე (თბილისის „დინამო") კრაულინი („უნივერსიტეტი") და სხვები.

ორივე გუნდში საკმაოდ არიან ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები. მატჩი უთუოდ ბევრ სასიამოვნო წუთებს ჰპირდება გულშემატკივარს.

შეხვედრა დაიწყება 19 საათზე.

# „ჩემი პარტიები..."

**ასე** ეწოდება 20 წლის დიდოსტატ გარი კასპაროვის პარტიების კრებულს, რომელიც ეს-ესაა ზაგრებში (იუგოსლავია) გამოიცა. წიგნში თავმოყრილია ახალგაზრდა დიდოსტატის მიერ 1975-1982 წლებში ნათამაშევი ყველა, 372 პარტია. ზოგ მათგანს ავტორის კომენტარი ახლავს.

კრებულს დართული აქვს მსოფლიოს ექსჩემპიონის მ. ბოტვინიკის წინათქმა და დიდოსტატ ე. გუფელდის ჩანახატი.

წიგნის გამოცემა ნავარაუდევია ევროპის ქვეყნების ყველა ენაზე, ჯერჯერობით კი იგი მხოლოდ ინგლისურ და სერბო-ხორვატულ ენებზე დაისტამბა.

(საქ. ინფ.)

## ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83



# საქართველოს თასი — სტუდენტებს

**თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი, 25 სექტემბერი.**

**ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისი) — „სამგურალი" (წყალტუბო) — 1:0 (0:0).**

**ზოოვეტერინარული ინსტიტუტი:** ბერიძე, მიქელაძე (ა. წიკლაური), იაშვილი, ზ. წიკლაური, კურტანიძე, ფრუიძე, ჩიმაკაძე, თოფურია, ჭიაბრიშვილი, ვახაძე, არევაძე.

**„სამგურალი":** ჯანელიძე, წიქარიშვილი, თევზაძე, გოგოლაძე, ტეხოვი, ქვირია, გორგოძე, ფეხტველიძე, კერესელიძე, ხვანაძე, მანაგაძე (ონიანი).

**მსაჯი: ვ. მიმინოშვილი (თბილისი)**

საქართველოს თასის ფინალურ მატჩს ფეხბურთში ამჯერადაც ჩვენმა მთავარმა სპორტულმა სარბიელმა — „დინამოს" სტადიონმა უმასპინძლა. ორგანიზატორები არც შემცდარან, სანახაობა საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა.

მატჩი მეტწილად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ „სამგურალს" ბურთის გატანის უფრო მეტი შანსი ჰქონდა. გოლი კი არ ჩანდა, რაც პირველ რიგში, მეკარეთა და დაცვის ხაზების უშეცდომო თამაშით იყო გამოწვეული.

ბოლო ათი წუთის განმავლობაში წყალტუბოელები დაიღალნენ და უკლეს აქტიურობას. ახლა სტუდენტები უტევდნენ უფრო სახიფათოდ, თუმცა კვლავ უშედეგოდ.

როდესაც თამაშის დამთავრებას ნახევარი წუთიღა აკლდა და მაყურებლები უკვე დამატებითი დროის დანიშვნას ელოდნენ, თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვასაძემ მიიღო მარცხნიდან დროულად და ზუსტად ჩამოწოდებული ბურთი და 5-6 მეტრიდან კარის მაღალ კუთხეში ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი. 1:0 — ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ფეხბურთელებმა მოიგეს გადამწყვეტი მატჩი.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ა. ქკუსელმა სტუდენტთა გუნდს გადასცა სანუკვარი თასი, რომლითაც გამარჯვებულებმა საპატიო წრე შემოურბინეს სტადიონს.

— ამ ჯილდოსთან ახლოს ვიყავით გასულ წელსაც, როდესაც გათამაშების ფინალში ვითამაშეთ მახარაძის „მერცხალთან", მაგრამ მაშინ ბედმა ჩვენს მეტოქეს გაუღიმა — თქვა მატჩის შემდეგ გუნდის კაპიტანმა ალექსანდრე არევაძემ, — ამიერიდან, ცხადია, მეტი მონდომება გვმართებს, როგორც ვარჯიშზე, ისე შეხვედრების დროს.

**თ. ყალაბეგაშვილი.**

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს 1983 წლის თასის მფლობელი — თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტთა გუნდი.**

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

21-23 სექტემბერს შედგა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი, 32-ე ტურის შეხვედრები.

**„შახტიორი" — „დინამო" (მინსკი) 3:0 (1:0).** ბურთები გაიტანეს პეტროვმა (35 წთ), გრაჩოვმა (68), დიბჩენკომ (90).

გააფრთხილეს დონეცკელი სოპკო და მინსკელი კურნენინი.

დუბლიორები — 0:0.

**ცსკა — „სპარტაკი" 1:1 (1:1).** გოლები გაიტანეს არმიელმა აჯემმა (3) და გლადილინმა (41).

დუბლიორები — 4:2.

**„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 2:1 (1:0).** გოლები გაიტანეს ტორპედოელმა პეტრაკოვმა (36, 79 პენალტით) და გაზაევმა (53).

გააფრთხილეს დინამოელები ბულანოვი და ხაპსალისი.

დუბლიორები — 0:1.

**„დინამო" (მინსკი) — „ნისტრუ" 0:0.**

მატჩს მოემსახურა საქართველოს მსაჯთა ბრიგადა ა. მილჩენკოს, გ. გაბისკირიას (ორივე — სოხუმი) და უ. ფურცელაძის (თბილისი) შემადგენლობით.

გააფრთხილეს კიშინიოველი დუბროვნი.

დუბლიორები — 4:2.

**„ჟალგირისი" — „ჩერნომორეცი" 2:1 (1:0).** ბურთები გაიტანეს ვილნიუსელებმა იანონისმა (27), ბარანაუსკასმა (83) და ჟარკოვმა (60).

გააფრთხილეს ოდესელი პჯსულკო.

დუბლიორები — 2:2.

**„მეტალისტი" — „ფახთაკორი" 1:0 (1:0).** ერთადერთი ბურთის ავტორია ტარასოვი (35).

გააფრთხილეს ტაშკენტელი ბაიმეტოვი და ტარასოვი.

დუბლიორები — 2:1.

**„არარატი" — „ნეფთჩი" 1:0 (1:0).** გოლი 32-ე წუთზე გაიტანა მხითარიანმა.

დუბლიორები — 2:4.

**„დინამო" (კიევი) — „ზენიტი" 2:2 (0:2).** ბურთები გაიტანეს ლენინგრადელებმა დმიტრიევმა (19) და გერასიმოვმა (24), ევტუშენკომ (67), ბალტაჩამ (88).

დუბლიორები — 2:1.

* * *

ბომბარდირთა სიას კვლავ მეთაურობს სპარტაკელი გავრილოვი — 18 ბურთი. მინსკელ გურინოვიჩს 17 ბურთი აქვს გატანილი. შემდეგ მოდიან დონეცკელი სოკოლოვსკი, ტაშკენტელი იაკუბიკი — 15-15, ერევნელი — ოჰანესიანი — 14, ოდესელი ფინკი — 13, არმიელი კოლიადკო და ვილნიუსელი იაკუბაუსკასი — 12-12.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

**მდგომარეობა 27 სექტემბრისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." კ. | 30 | 22 | 5 | 3 | 68—21 | 49 |
| „დინ." მ. | 29 | 17 | 6 | 6 | 40—23 | 40 |
| ცსკა | 30 | 15 | 8 | 7 | 51—37 | 38 |
| „დინ." თბ. | 29 | 15 | 7 | 7 | 44—21 | 37 |
| „დინ." მნ. | 29 | 14 | 9 | 6 | 52—35 | 37 |
| „მეტალ." | 30 | 13 | 7 | 10 | 59—48 | 33 |
| „ნეფთჩი" | 30 | 12 | 9 | 9 | 46—41 | 33 |
| „ზენიტი" | 28 | 13 | 4 | 11 | 46—42 | 30 |
| „დნეპრი" | 29 | 11 | 7 | 11 | 39—35 | 29 |
| „ჩერნ." | 29 | 9 | 9 | 11 | 44—44 | 27 |
| „ჟალ." | 30 | 9 | 9 | 12 | 38—46 | 27 |
| „ფახთ." | 30 | 8 | 11 | 11 | 38—48 | 27 |
| „ტორ." მ. | 30 | 9 | 6 | 15 | 31—45 | 24 |
| „შახტ." | 30 | 8 | 7 | 15 | 30—40 | 23 |
| „სპარტ." | 30 | 6 | 11 | 13 | 47—61 | 23 |
| „ნისტრუ" | 29 | 8 | 6 | 15 | 35—60 | 22 |
| „არარ." | 30 | 7 | 5 | 18 | 26—52 | 19 |
| „ტორ." ქ. | 31 | 6 | 3 | 22 | 30—66 | 15 |

## I ლიგა

**24 სექტემბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების 35-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურია" სტუმრად თამაშობდა ლვოვში ასკ „კარპატთან". ლანჩხუთელებმა აღმაფრენით ითამაშეს და გაიმარჯვეს—2:1.

ტურის სხვა შედეგები: „დაუგავა" (რიგა) — ასკ (დონის როსტოვი) 1:2, „დნეპრი" (მოგილიოვი) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:0, „ისკრა" (სმოლენსკი) — „ქაირათი" (ალმა-ათა) 1:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „კუზბასი" (კემეროვო) 2:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „დინამო" (კიროვი) 1:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 2:1, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 3:1, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „პამირი" (დუშანბე) 1:2, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ზვეზდა." (ჯიზაკი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 27 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქაირათი" | 34 | 19 | 10 | 5 | 61—31 | 48 |
| ასკ რ. | 33 | 18 | 11 | 4 | 57—27 | 47 |
| „ფაკელი" | 34 | 16 | 11 | 7 | 39—24 | 43 |
| „კოლოსი" | 34 | 15 | 12 | 7 | 58—38 | 42 |
| „როტ." | 33 | 18 | 4 | 11 | 48—36 | 40 |
| „მეტალ." | 34 | 15 | 8 | 11 | 49—37 | 38 |
| „ყუბანი" | 34 | 13 | 11 | 10 | 51—38 | 37 |
| ასკ „კ." | 33 | 13 | 11 | 4 | 38—35 | 37 |
| „კუზბ." | 34 | 12 | 11 | 11 | 42—41 | 35 |
| „ტავრ." | 34 | 12 | 10 | 12 | 60—53 | 34 |
| „ზარია" | 33 | 12 | 9 | 12 | 54—47 | 33 |
| „პამ." | 33 | 11 | 9 | 13 | 35—46 | 31 |
| „გურია" | 33 | 13 | 3 | 17 | 40—64 | 29 |
| „დაუგ." | 33 | 11 | 7 | 15 | 42—52 | 29 |
| „ისკრა" | 33 | 11 | 7 | 15 | 36—32 | 29 |
| „ლოკომ." | 34 | 9 | 11 | 10 | 42—40 | 29 |
| „შინიკი" | 33 | 10 | 8 | 15 | 35—60 | 28 |
| „ზვეზდა" | 33 | 9 | 10 | 14 | 41—46 | 28 |
| „დნეპრი" | 33 | 8 | 13 | 12 | 33—49 | 28 |
| ასკ ხ. | 34 | 8 | 11 | 15 | 24—41 | 27 |
| „ტექს." | 33 | 6 | 10 | 17 | 32—60 | 22 |
| „დინამო" | 34 | 5 | 11 | 18 | 26—48 | 21 |

## ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ბათუმის ახალ კორტებზე...

**მწვანეში** ჩაფლული ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს რესპუბლიკის სპორტნაგებობათა კომპლექსური ბაზის ბათუმის კორტები.

ადრე არსებულ ხუთ მოედანს, რომლებზეც მთლიანად შეიცვალა დრენაჟის საფარი, კიდევ სამი ახალი დაემატა. აქვეა 1300 მაყურებელზე გათვალისწინებული ორი ტრიბუნაც.

რვავე მოედანზე დილიდან საღამომდე არ წყდება ვარჯიში. გატაცებით დასდევენ პატარა ბურთს ნორჩებიც, რომელნიც ეს-ესაა ეუფლებიან ჩოგბურთის ანბანს მწვრთნელების ვ. ასათიანის, ფ. ნუნიკიანის, მ. ხომარიანის ხელმძღვანელობით და ნახევარ საუკუნეს მიტანებული ჰალარათმიანებიც, ჯანმრთელობისა და სიმხნევის შესანარჩუნებლად სპორტს რომ დაუმეგობრდნენ.

ახალი კორტები ყოველდღიურად ჩოგბურთის 200-მდე მოყვარულს ემსახურება.

მომავალში მასზე არაერთი რესპუბლიკური და საკავშირო ასპარეზობის გამართვას ვარაუდობენ.

28 სექტემბერს აქ პირველი დიდი შეჯიბრება — საქართველოს ღია ჩემპიონატი იღებს სტარტს.

**გ. ახალაძე.**

* * *

**სურათებზე:** კორტების საერთო ხედი; სპორტის ოსტატი ვ. ასათიანი თავის აღსაზრდელებთან.

ავტორის ფოტო.

# გზა დიდი ჰოკეისკენ

**როგორც** ჩვენი გაზეთი იუწყებოდა („ლელო", ა. წ. 7 აპრილი), ნორჩი ქართველი ჰოკეისტი — თბილისის „პირველი მერცხლის" მეკარე, 23-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი 13 წლის კოტე ბახუტაშვილი მარტში „ოქროს შაიბის" კლუბის პრიზის საკავშირო ტურნირის (აქ მან, როგორც საუკეთესო მეკარემ, სპეციალური პრიზი დაიმსახურა) შემდეგ ცსკა-ს ჰოკეისტთა სპორტულ სკოლა-ინტერნატში მიიწვიეს.

ნიჭიერი ქართველი სპორტსმენი აქ ინტენსიურ წვრთნას გადის გამოცდილი მწვრთნელების, წარსულში ცნობილი საბჭოთა ჰოკეისტების ა. ფირსოვის, ვ. ლუტჩენკოსა და ი. რუმიანცევის ხელმძღვანელობით. სკოლას, რომელსაც შეფობას უწევს სახელოვანი კოლექტივი — ცსკა-ს ოსტატთა გუნდი, ორი ათეული წლის ტრადიცია აქვს. აქ აღიზარდნენ ისეთი შესანიშნავი ოსტატები, როგორებიც არიან ვლადისლავ ტრეტიაკი, ვიაჩესლავ ფეტისოვი, იგორ ლარიონოვი და სხვები. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჰოკეის ეს კორიფეები ხშირად მოდიან მშობლიურ სასწავლებელში და საინტერესო გაკვეთილებს უტარებენ ნორჩებს, დიდი ჰოკეის საიდუმლოებას უზიარებენ მომავალ ოსტატებს. სპეციალისტები კმაყოფილნი არიან ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენის მონაცემებით (სისწრაფე, რეაქცია, ფიზიკური მომზადება), მისი შრომისუნარიანობით.

— ნიჭიერი ყმაწვილია, მონდომებით ვარჯიშობს, მჯერა, რომ მალე ოსტატიც გახდება, — ამბობს საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და ცსკა-ს უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ტიხონოვი. — ჩვენს სკოლაში იგი „პირველი ქართველი მერცხალია". დაე, მან თქვენს რესპუბლიკას ნამდვილი ჰოკეის გაზაფხული მოუყვანოს. დარწმუნებული ვარ, რომ თბილისში სპეციალური მოედნის მშენებლობის შემდეგ ეს „ყინულიც" დაიძვრება!

როდესაც ჟურნალისტებმა ჰკითხეს „მეკარეთა მეკარეს" **ვ. ტრეტიაკს**, რას იტყოდა ქართული ჰოკეის მომავლის შესახებ, არც დაფიქრებულა, ისე თქვა: ქართველები საერთოდ ნიჭიერი სპორტსმენები არიან, რა თქმა უნდა, ჰოკეიც კარგად გამოუვათ. თავის დროზე თქვენს რესპუბლიკაში ალბათ გამოჩნდებიან „ჰოკეის ყიფიანები, მესხები, მეტრეველები". მართლაც საინტერესო იქნება: ცსკა — „დინამო" (თბილისი)... ჰოკეიში.

საინტერესოა სპორტის დამსახურებული ოსტატის **ა. ფირსოვის** აზრიც:

— მე ადრეც მითქვამს ქართულ პრესაში, რომ ქართველები ჰოკეისაც ჩინებულად აითვისებენ. თქვენ ხომ დიდი ტემპერამენტი, შემართება, იმპროვიზაცია გახასიათებთ. ჰოკეისაც სწორედ ეს უნდა! ორი წელიწადია თვალყურს ვადევნებ თქვენს „პირველ მერცხალს", რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებენ შესანიშნავი ენთუზიასტები, ძმები ნოდარ და ომარ დონაძეები. გეტყვით პირდაპირ — გუნდი თამაშიდან თამაშამდე იზრდება.

გვჯერა, რომ ცნობილ ვეტერანთა წინასწარმეტყველება გამართლდება.

**ო. ოთარაშვილი.**

* * *

**სურათზე:** კოტე ბახუტაშვილი, კინორეჟისორი ნ. ლორია (იგი იღებს სპეციალურ ფილმს „პირველ მერცხალზე"), ვ. ტრეტიაკი, ნ. დონაძე.

საქართველოს დამსახურებული არტისტის ა. ლორიას ფოტო.



● **ჭადრაკი**



# უმრავლესობა გადაიდო

**ქუთაისი,** 26 სექტემბერი (**ტელეფონით, „ლელოს" კორ.**). სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ქუთაისის ნახევარფინალში კიდევ ორი (IV, V) ტურის პარტიები გათამაშდა, თითოეულ ტურში 8 შეხვედრიდან მხოლოდ ორი დამთავრდა.

IV ტურში ტ. ფომინამ (ტალინი) დაამარცხა გ. სახატოვა (ალმა-ათა). დაზავდნენ ე. ხოროვეცი (მინსკი) და კ. ბაგინსკაიტე (ვილნიუსი). დანარჩენი პარტიები გადაიდო. თ. ხუგაშვილს (თბილისი) პოზიციური უპირატესობა აქვს ი. უმანსკაიასთან (მოსკოვი), ც. ქასოშვილს (გორი) — ი. სონთან (ლვოვი). თანაბარ პოზიციაში გადაიდო ლ. კულიკოვასა (ერევანი) და ჰ. ლაგვილავას (ქუთაისი) შეხვედრა.

V ტურში ლ. პიარნპუუმ (პიარნუ) მოუგო კულიკოვას. ყაიმზე შეთანხმდნენ ო. პედკო (ჩელიაბინსკი) და ფომინა. 6 პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ხუგაშვილს უარესი პოზიცია აქვს სახატოვასთან, ლაგვილავას ხარისხი აკლია ი. ჩელუშკინასთან (ლვოვი). თანაბარ მდგომარეობაში შეწყდა ქასოშვილისა და ბაგინსკაიტეს პარტია.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ც. ქასოშვილი და ი. ჩელუშკინა — 2,5-2,5 ქულა და 2-2 გადადებული პარტია.

**ლ. ფაჩუაშვილი**

* * *

**სურათზე:** საერთაშორისო ოსტატ თ. ხუგაშვილის (მარცხნივ) და ოსტატ ი. სონის შეხვედრა. დგას — ოსტატობის კანდიდატი ი. უმანსკაია (მოსკოვი).

ავტორის ფოტო.

# ჩემპიონი ახალციხიდან

**დამთავრდა** საქართველოს III ჩემპიონატი ჭადრაკის მიმოწერით თამაშში, რომელიც სამტრედიის საჭადრაკო კლუბმა ჩაატარა. შეჯიბრებაში 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა. იგი ორ წელს მიმდინარეობდა.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა რევაზ მანჯგალაძემ (ახალციხე) — 12,5 ქულა. II ადგილზეა ანატოლი ტიშჩენკო (მახარაძე) — 12, III — რევაზ ჯაში (მახარაძე) — 11,5. შემდეგ მოდიან ა. სუბელიანი (წალენჯიხა, ჯვარი) — 11, ნ. ჭანტურიძე (ქუთაისი) — 10,5, თ. ჩხეტიანი (გურჯაანი) — 9,5, შ. ფორჩხიძე (თბილისი), პ. ბულიგინი (ქუთაისი) — 8,5-8,5, ზ. როსტომაშვილი (თელავი), ზ. კობახიძე (ამბროლაური) — 7-7.

IV ჩემპიონატი ოქტომბერში დაიწყება. მონაწილეობის მსურველებმა 10 ოქტომბრამდე უნდა გამოგზავნონ განცხადება მთავარი მსაჯის სახელზე (384200. სამტრედია, საჭადრაკო — კლუბი), აგრეთვე თანრიგის ცნობა და ქალაქისა თუ რაიონის სპორტკომიტეტის მიერ გაცემული დახასიათება-რეკომენდაცია. ფინალში დაიშვებიან ზემოხსენებული 10 მოჭადრაკე, ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები და ნახევარფინალებში გამარჯვებული ოთხი მოჭადრაკე.

**ა. მაჩიტიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

## პანორამა

● **ჩოგბურთი**

**ხარკოვში** დამთავრდა ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. ქალთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დონეცკელი ე. ელისეენკო და მოსკოველი ს. ჩერნევა. გაიმარჯვა დონეცკელმა — 6:4, 7:5. ვაჟთა შორის მინსკელი ს. ლეონიუკი პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. მან დაამარცხა მოსკოველი ა. ზვერევი — 6:4, 7:5, 1:6, 1:6, 6:3. ვაჟთა წყვილების ფინალში ლეონიუკმა და ზვერევმა დაამარცხეს კიეველები ი. ფილევი და ა. დოლგოპოლოვი — 7:6, 6:3, 6:2. შერეულ წყვილთა ასპარეზობაში ჩერნევამ და მოსკოველმა კ. პუგაევმა ფინალში სძლიეს ლვოველ ლ. სავჩენკოს და თბილისელ ვ. ხურდას — 6:3, 6:4.

● **ფრენბურთი**

**საბჭოთა** ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ჩემპიონობა შეინარჩუნა: დასკვნით დღეს ოთხ პარტიაში სძლია პოლონეთის ძლიერ გუნდს — 15:3, 15:11, 11:15, 15:9. პოლონელები მეორე ადგილზე დარჩნენ, ხოლო ბრინჯაოს მედლები ბულგარელებმა მოიპოვეს. სსრ კავშირის ქალთა გუნდმა კი, როგორც ორი წლის წინათ, ახლაც დათმო გდრ-ის სპორტსმენებთან — 2:3 (15:6, 15:11, 8:15, 3:15, 14:16). III ადგილზე გავიდნენ უნგრელი ფრენბურთელი ქალები.

● **რეგბი**

ქუთაისში გაიმართა რეგბისტთა სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა ქუთაისის „სახმშენის" და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდებს შორის.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

ასეც ხდება...

# ფიზკულტურის გაკვეთილების წყალობით

ცნობილი ინგლისელი მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი პიტერ უსტინოვი თავის ამასწინათ გამოცემულ ავტობიოგრაფიაში ამტკიცებს, რომ კომიკოსი გახდა... ფიზკულტურის სასკოლო გაკვეთილების შემდეგ.

— როდესაც სკოლაში ორძელზე ვარჯიშს ვცდილობდი, ანდა სიგრძეზე ხტომას ვლამობდი ეს ჩემი ამხანაგების დიდ მხიარულებას, შეუკავებელ ხარხარს იწვევდა. ბოლოსდაბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ სჯობდა მე თვითონვე დამეცინა საკუთარი თავისთვის, ეს თვისება ნელნელა განმივითარდა და, როგორც ხედავთ, საბოლოო ჯამში კომიკოსი გამოვედი.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 93-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07810